



2020 წ.

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტის
მიმოხილვა (I ნაწილი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge



პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ივნისი, 2020 წ.

სარჩევი

ძირითადი მაჩვენებლები	1
სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა	1
„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები	4
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	8
შემოსავლები	9
არაფინანსური აქტივების კლება	13
ფინანსური აქტივების კლება	14
ვალდებულებების ზრდა	14
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	17
ხარტები	22
არაფინანსური აქტივების ზრდა	27
ფინანსური აქტივების ზრდა	29
ვალდებულებების კლება	30
ხარტებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია	30
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	32
სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო	35
ნაშთის ცვლილება	35
საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო	36
დანართები	37
დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)	37
დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)	38
დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები მხარტავი დაწესებულებების, პროგრამებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით (მლნ ლარი)	39

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამულ ფორმატზე გადავიდა 2012 წლიდან, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების გაერთიანებას პრიორიტეტების მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით მონაცემების ანალიზი უმთავრეს შემთხვევებში განხორციელებულია 2012 წლიდან.


ძირითადი მაჩვენებლები

სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 14,554.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა - 14,432.9 მლნ ლარის ოდენობით. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 18,420.3 მლნ ლარით, რაც 2020 წლის დამტკიცებულ გეგმას 3,866.1 მლნ ლარით (26.6%) აღემატება, ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 15,923.8 მლნ ლარის ოდენობით, რაც 1,490.9 მლნ ლარით (10.3%) მეტია 2020 წლის დამტკიცებულ გეგმაზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2012-2020 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2012-2020 წლებში



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2012-2020 წლებში (მლრდ ლარი).

რაც შეეხება შემოსულობებს კომპონენტების მიხედვით, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, შემოსულობების ოთხივე კომპონენტს შეეხო ცვლილება. კერძოდ, შემოსავლების კომპონენტი 1,014.2 მლნ ლარით (9.0%-ით) მცირდება დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით და 10,212.7 მლნ ლარით არის განსაზღვრული. შემცირება შეეხო, ასევე, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებით მისაღებ შემოსულობებს, შესაბამისად 40.0 მლნ ლარის და 50.0 მლნ ლარის ოდენობით და განსაზღვრულია 90.0 მლნ ლარით და 80.0 მლნ ლარით. რაც შეეხება შემოსულობების მეოთხე კომპონენტს, ვალდებულებების ზრდას, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით აღნიშნული კომპონენტით მისაღები შემოსულობა 4,970.3 მლნ ლარით (162.0%-ით) იზრდება დამტკიცებულ გეგმასთან (3,067.3 მლნ ლარი) შედარებით.


მსგავსად შემოსულობებისა, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შეეხო გადასახდელების ოთხივე კომპონენტს. კერძოდ, ხარჯების ზრდა, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით შეადგენს 1,709.9 მლნ ლარს (15.8%) და 12,556.4 მლნ ლარით არის განსაზღვრული. არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები შემცირებულია შესაბამისად 213.5 მლნ ლარით და 15.4 მლნ ლარით და შეადგენს 2,007.8 მლნ ლარს და 326.8 მლნ ლარს. ვალდებულებების კლების კომპონენტი კი გაზრდილია მცირედით - 10.0 მლნ ლარით და 1,032.7 მლნ ლარის ოდენობით არის განსაზღვრული.

	2019 ფაქტი	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა		2020 პროექტი / 2019 ფაქტი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	13,252.2	14,554.2	18,420.3	3,866.1	26.6%	5,168.1	39.0%
შემოსავლები	10,675.0	11,226.9	10,212.7	-1,014.2	-9.0%	-462.3	-4.3%
არაფინანსური აქტივების კლება	93.2	130.0	90.0	-40.0	-30.8%	-3.2	-3.5%
ფინანსური აქტივების კლება	148.5	130.0	80.0	-50.0	-38.5%	-68.5	-46.1%
ვალდებულებების ზრდა	2,335.4	3,067.3	8,037.6	4,970.3	162.0%	5,702.2	244.2%
გადასახდელები	13,469.7	14,432.9	15,923.8	1,490.9	10.3%	2,454.1	18.2%
ხარჯები	9,975.5	10,846.5	12,556.4	1,709.9	15.8%	2,580.9	25.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,256.1	2,221.4	2,007.8	-213.5	-9.6%	-248.3	-11.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	278.9	342.2	326.8	-15.4	-4.5%	47.9	17.2%
ვალდებულებების კლება	959.2	1,022.7	1,032.7	10.0	1.0%	73.6	7.7%
ნაშთის ცვლილება	-217.5	121.3	2,496.5				

ცხრილი 1: 2019-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მიმოხილვა. საგადასახადო შემოსავლებზე, 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, შემოსავლების 93.2%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 71.9% მოდის. 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, საგადასახადო შემოსავლები 10,465.0 მლნ ლარიდან 8,979.4 მლნ ლარამდე, 1,485.7 მლნ ლარით (14.2%-ით), არის შემცირებული და პროექტით განსაზღვრული შემოსავლების 87.9% და მთლიანი შემოსულობების 48.7%-ს წარმოადგენს.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები



დიაგრამა 2: 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, საგადასახადო შემოსავლების შემცირება გადასახადის ყველა სახეს შეეხო. კერძოდ, ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე დიდი მოცულობით შემცირდა დღგ-დან მისაღები შემოსავალი, 644.0 მლნ ლარის (14.6%) ოდენობით. 425.0 მლნ ლარით (12.4%-ით) შემცირდა საშემოსავლო გადასახადიდან მისაღები შემოსავალი, მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, 130.0 მლნ ლარით არის შემცირებული, აქციზი - 75.0 მლნ ლარით, ხოლო იმპორტის გადასახადი - 10.0 მლნ ლარით. რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 2020 წლის დამტკიცებული გეგმით სხვა გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები განსაზღვრულია 201.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო წარმოდგენილი პროექტის მიხედვით აღნიშნული შემოსავალი განულებულია.

რაც შეეხება ვალდებულებების ზრდის კომპონენტს, 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, ვალდებულებების ზრდა შემოსულობების 21.1% შეადგენს. 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვალდებულებების ზრდის კომპონენტი 3,067.3 მლნ ლარიდან 8,037.6 მლნ ლარამდე, 4,970.3 მლნ ლარით (162%-ით) არის გაზრდილი და პროექტით განსაზღვრული შემოსულობების 43.6%-ს წარმოადგენს.


წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ზრდა შეეხო როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალდებულებების ზრდას. საგარეო ვალდებულებები გაზრდილია 4,320.3 მლნ ლარით (მ.შ. ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი გაზრდილია 4,470.0 მლნ ლარით, ხოლო საინვესტიციო კრედიტი შემცირებულია 149.7 მლნ ლარით),

	2020 გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა	
			სხვაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების ზრდა	3,067.3	8,037.6	4,970.3	162.0%
საგარეო	1,867.3	6,187.6	4,320.3	231.4%
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი	685.0	5,155.0	4,470.0	652.6%
საინვესტიციო კრედიტი	1,182.3	1,032.6	-149.7	-12.7%
საშინაო	1,200.0	1,850.0	650.0	54.2%
ფასიანი ქაღალდების გამოშვება	1,200.0	1,850.0	650.0	54.2%

ცხრილი 2: ვალდებულებების ზრდის კომპონენტი 2020 წელს (მლნ ლარი, %) 1,867.3 მლნ ლარიდან 6,187.6 მლნ ლარამდე. საშინაო ვალდებულებები (ფასიანი ქაღალდების გამოშვება) კი გაზრდილია 650.0 მლნ ლარით, 1,200.0 მლნ ლარიდან 1,850.0 მლნ ლარამდე.

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრულია 10,846.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 75.2%-ს შეადგენს. 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით ხარჯები იზრდება 1,709.9 მლნ ლარის (15.8%-ით) ოდენობით, 12,556.4 მლნ ლარამდე (სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 78.9%).

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები



დიაგრამა 3: 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით ზრდა შეეხო ხარჯების ყველა კომპონენტს შრომის ანაზღაურების და სხვა ხარჯების გარდა. შრომის ანაზღაურება, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, შემცირებულია 21.7 მლნ ლარით, ხოლო სხვა ხარჯები - 27.0 მლნ ლარით. ხარჯების ყველაზე დიდი კომპონენტის, სოციალური უზრუნველყოფის ზრდა შეადგენს 1,045.0 მლნ ლარს და პროექტის მიხედვით განსაზღვრულია 5,339.9 მლნ ლარის ოდენობით (ხარჯების 42.5%). სუბსიდიების ზრდა 464.1 მლნ ლარს შეადგენს და წარმოდგენილი პროექტის მიხედვით თითქმის ორმაგდება მისი დამტკიცებული მოცულობა. საქონელი და მომსახურების, გრანტების და პროცენტის დამტკიცებული მოცულობა, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, შესაბამისად იზრდება 136.9 მლნ ლარით, 80.6 მლნ ლარით და 32.0 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს¹, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საოპერაციო სალდო განსაზღვრულია 380.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო მთლიანი სალდო - -1,711.0 მლნ ლარით. 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, საოპერაციო სალდო -2,343.7 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო მთლიანი სალდო - -4,261.5 მლნ ლარს.

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ნაშთის ცვლილება (დაგროვება) შეადგენს 121.3 მლნ ლარს, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, ნაშთის ცვლილება (დაგროვება) განსაზღვრულია 2,496.5 მლნ ლარის ოდენობით.

¹ საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე. მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობის პროგნოზით 2020 წლის მშპ-ს რეალური ზრდა 4.5%-ს შეადგენდა, ხოლო საბიუჯეტო ოფისის მიერ 2019 წლის დეკემბერში მომზადებული პროგნოზით კი შეადგენდა 4.7%-ს.

მსოფლიოში მიმდინარე კორონა ვირუსით (Covid-19) გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა გლობალური მასშტაბი შეიძინა და თითქმის ყველა ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზეც მოახდინა გავლენა.

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა შემცირდება 4.0%-ით, თუმცა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით მშპ-ს რეალური ზრდა 0.8 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება საქართველოს მთავრობის პროგნოზს და შემცირება 4.8%-ით განისაზღვრება².

საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ საქართველოში ვირუსის გავრცელების პიკი არის 2020 წლის მეორე კვარტალში, ხოლო მესამე კვარტლიდან საქართველოს ეკონომიკა, დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით სწრაფად დაიწყებს აღდგენას. დაშვებისას ასევე მხედველობაშია მიღებული როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობა, ასევე - საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებები და პროგნოზი³.

საქართველოს მთავრობის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2021-2024 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.3%-ს შეადგენს, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით აღემატება მათ მიერ 2019 წელს გაკეთებულ ანალოგიურ პროგნოზს. მთავრობის პროგნოზის მიხედვით მნიშვნელოვანი გამოცოცხლება ეკონომიკაში 2022 წლიდან არის მოსალოდნელი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2021-2024 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.5%-ს შეადგენს, რაც, ასევე, 0.3 პროცენტული პუნქტით მეტია ოფისის მიერ 2019 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული ანალოგიური მარჯვენებისგან. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია იმით, რომ 2021 წელს მოსალოდნელია ეკონომიკის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება და საბაზისო ეფექტის გათვალისწინებით მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპია მოსალოდნელი. ამას ასევე განაპირობებს, 2020 წელთან შედარებით, სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის საკმაოდ ოპტიმისტური შეფასებები.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. ეს სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი⁴.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წლისთვის მშპ-ის პოტენციური დონისაგან მნიშვნელოვანი გადახრა დაფიქსირდება (-3.8%), მაშინ როდესაც დეკემბერში მოველოდით, რომ უარყოფითი

² დეტალურად იხილეთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დოკუმენტი „მაკროეკონომიკური პროგნოზები 2020-2024“: <http://pbo.parliament.ge/ge/mcp20/item/589-2020>

³ წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ აპრილი 2020“ (WEO April 2020) <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020>

⁴ თუ ფაქტობრივი მშპ აღემატება მის პოტენციურ დონეს, მაშინ სახეზე გვაქვს მშპ-ს დადებითი გაპი (ინფლაციური გაპი), ხოლო თუ ფაქტობრივი მშპ პოტენციურს ჩამორჩება, მაშინ ქვეყანაში მშპ-ს უარყოფითი გაპია, რასაც ხშირად რეცესიულ გაპსაც უწოდებენ; დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>

გაპი მხოლოდ -0.3% უნდა ყოფილიყო. მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში უარყოფით გაპს კლების ტენდენცია ექნება და 2023 წლისთვის თითქმის დაიხურება, 2024 წელს კი მცირედით დადებითი იქნება, ანუ რეალური მშპ პოტენციურ დონეს უმნიშვნელოდ გადააჭარბებს.

საქართველოს მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2020 წელს ნომინალური მშპ 50,303.1 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წელს ნომინალური მშპ, მთავრობის საპროგნოზო მარჯვენებელს მცირედით აღემატება (50,305 მლნ ლარი). საშუალოვადიან პერიოდშიც, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი ყოველწლიურად აღემატება საქართველოს მთავრობის პროგნოზს.

რაც შეეხება ნომინალურ მშპ-ს ერთ სულზე, მისი საპროგნოზო მოცულობა 2020 წლისთვის როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზების მიხედვით 13,510 ლარს შეადგენს, თუმცა აღნიშნული მარჯვენებელი საშუალოვადიან პერიოდში, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით, მცირედით აღემატება მთავრობის პროგნოზებს. კერძოდ, საქართველოს მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2024 წლისთვის აღნიშნული 18,917 ლარით განისაზღვრება, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით 19,544 ლარით.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით⁵ დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის⁶ დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – არაუმეტეს 3 პროცენტისა; (ე.წ. ბალანსის/დეფიციტის წესი)
- საქართველოს მთავრობის ვალის⁷ მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – არაუმეტეს 60 პროცენტისა (ე.წ. ვალის წესი).

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის⁸ მიხედვით, 2020 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განსაზღვრულია 1,333.4 მლნ ლარით, რაც მთავრობის მიერ პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.5%-ს შეადგენს. რაც შეეხება მთავრობის ვალს, ზემოაღნიშნული მუხლის მიხედვით, 2020 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განსაზღვრულია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 42.5%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) განსაზღვრულია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 1.3%-ით – ჯამი: მშპ-ის 43.8%.

რაც შეეხება „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტს, პროექტში მითითებული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განისაზღვრება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ზღვარს მიღმა - 4,152.1 მლნ ლარით, რაც მთავრობის მიერ პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 8.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება მთავრობის ვალს, 2020 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა - მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 54.4%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე

⁵ მუხლი 2. მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დადგენა

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

⁷ აღნიშნული მიზნებისთვის საქართველოს მთავრობის ვალი მოიცავს: ა) „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა; ბ) საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა. აღნიშნული ზღვარი ითვალისწინებს აგრეთვე „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპებისა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას.

⁸ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული პარამეტრების პროგნოზი

ღირებულება (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) - მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 1.3%-ით - ჯამი: მშპ-ის 55.7%.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში არის შესაძლებელი სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დადგენილი ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვა ან/და დაგეგმილი პარამეტრების შესრულება:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების და აღნიშნული მდგომარეობის შედეგად დამდგარი ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში;


ბ) ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესიის შემთხვევაში - თუ, საჭარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ზედიზედ ბოლო 2 კვარტალის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტალებთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე გასული 10 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე 2020 წელს საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შესაბამისად ამუშავდა ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირობა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ორგანული კანონით დადგენილი ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი, არსებული რედაქციით, მოქმედებს 2019 წლიდან, ხოლო 2019 წლამდე დეფიციტის წესი განისაზღვრებოდა, როგორც ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის (უარყოფითი მთლიანი სალდო) ფარდობა მშპ-თან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2020 წლებში საქართველოს ერთიანი ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

სახელმწიფოს ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2020 წლებში



დიაგრამა 4: სახელმწიფოს ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2020 წლებში (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების მეორე მაქსიმალურ ზღვარს, ზემოაღნიშნული ორგანული კანონით დადგენილი ე.წ. ვალის წესი არსებული რედაქციით, მოქმედებს 2019 წლიდან, ხოლო 2019 წლამდე ის განისაზღვრებოდა, როგორც სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მთავრობის ვალის მშპ-თან პროცენტული ფარდობიდან (42.5%-დან) 32.2% მოდის მთავრობის საგარეო ვალზე (5,741.2 მლნ აშშ დოლარი), ხოლო 10.3% მოდის მთავრობის


საშინაო ვალზე (5,470.8 მლნ ლარი). ხოლო, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული მთავრობის ვალის მშპ-თან პროცენტული ფარდობიდან (54.4%-დან) 42.5% მოდის მთავრობის საგარეო ვალზე (7,171.0 მლნ აშშ დოლარი), ხოლო 11.9% მოდის მთავრობის საშინაო ვალზე (5,971.2 მლნ ლარი).

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანდართული დოკუმენტების მიხედვით, მთავრობის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 22,579.5 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებებით, პროგნოზირებული მთავრობის ვალის მოცულობა, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრულია 27,370.2 მლნ ლარით.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის ნაშთის საპროგნოზო მოცულობა 23,434.9 მლნ ლარის ოდენობით (მ.შ. საგარეო - 17,968.1 მლნ ლარი, საშინაო - 5,466.8 მლნ ლარი), რაც იმ პერიოდისთვის პროგნოზირებული მშპ-ს 44.1%-ს წარმოადგენს. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის ნაშთის საპროგნოზო მოცულობა 28,395.5 მლნ ლარით არის განსაზღვრული (მ.შ. საგარეო - 22,428.7 მლნ ლარი, საშინაო - 5,966.8 მლნ ლარი), რაც მთავრობის მიერ მიმდინარე წლის ივნისში პროგნოზირებული მშპ-ს 56.4%-ია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ვალისა და მთავრობის ვალის მოცულობა და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2020 წლებში⁹.

მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალი და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2020 წლებში



დიაგრამა 5: მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალი და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2020 წლებში (მლნ ლარი, %).

⁹ მე-9 დიაგრამაში წარმოდგენილი ინფორმაცია არ მოიცავს ისტორიული ვალის პირობით მოცულობას 672 მლნ ლარის ოდენობით. გარდა ამისა, 2019 წლის ნოემბრიდან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მიიღო ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი სტანდარტი (SNA 2008), რაც გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებას ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტის გამოთვლებში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია **14,554.2 მლნ ლარის** ოდენობით, ხოლო „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, შემოსულობების გეგმა განისაზღვრა **18,420.3 მლნ ლარის ოდენობით**, რაც დამტკიცებულ მოცულობას 3,866.1 მლნ ლარით (26.6%-ით) აღემატება.


აღნიშნული მატება ძირითადად მოდის ვალდებულებების ზრდის კომპონენტზე (4,970.3 მლნ ლარის ოდენობით, 162.0%-ით), როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალდებულებების ზრდაზე. რაც შეეხება შემოსულობების დანარჩენ კომპონენტებს, შემოსავლები, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, შემცირებულია 1,014.2 მლნ ლარით (9.0%-ით), არაფინანსური აქტივების კლება - 40.0 მლნ ლარით (30.8%-ით), ხოლო ფინანსური აქტივების კლება - 50.0 მლნ ლარით (38.5%-ით).

	2019 ფაქტი	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა		2020 პროექტი / 2019 ფაქტი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ შემოსულობები	13,252.2	14,554.2	18,420.3	3,866.1	26.6%	5,168.1	39.0%
შემოსავლები	10,675.0	11,226.9	10,212.7	-1,014.2	-9.0%	-462.3	-4.3%
გადასახადები	9,665.6	10,465.0	8,979.4	-1,485.7	-14.2%	-686.2	-7.1%
გრანტები	489.6	241.9	558.3	316.4	130.8%	68.7	14.0%
სხვა შემოსავლები	519.8	520.0	675.0	155.0	29.8%	155.2	29.8%
არაფინანსური აქტივების კლება	93.2	130.0	90.0	-40.0	-30.8%	-3.2	-3.5%
ფინანსური აქტივების კლება	148.5	130.0	80.0	-50.0	-38.5%	-68.5	-46.1%
ვალდებულებების ზრდა	2,335.4	3,067.3	8,037.6	4,970.3	162.0%	5,702.2	244.2%
საგარეო	1,386.6	1,867.3	6,187.6	4,320.3	231.4%	4,800.9	346.2%
საშინაო	948.8	1,200.0	1,850.0	650.0	54.2%	901.2	95.0%

ცხრილი 3: 2019-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2012-2020 წლებში




დიაგრამა 6: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2012-2020 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაგალითისათვის 2020 წლის პროექტის მიხედვით შემოსულობების მარჯვენა 2012 წლის ფაქტთან შედარებით გაზრდილია 10,416.3 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია შემოსულობების 2 ძირითადი კომპონენტის, შემოსულობებისა და ვალდებულებების ზრდის, მატებით. ამასთან, თუ განვიხილავთ მათ წილს შემოსულობებში, 2012-2019 წლებში შემოსავლების წილი კლების, ხოლო ვალდებულებების ზრდის წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. რაც შეეხება, 2020 წლის პროექტის მიხედვით, აღნიშნული

კომპონენტების წილს შემოსულობებში, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, შემოსავლების წილი შემცირებულია 77.1%-დან 55.4%-მდე, ხოლო ვალდებულებების ზრდის წილი გაზრდილია 21.1%-დან 43.6%-მდე.

შემოსულობებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2020 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კომპონენტების პროცენტული განაწილება.



დიაგრამა 7: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურის დინამიკა 2012-2020 წლებში (%).

შემოსავლები

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 11,226.9 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, შემოსულობების გეგმა შემცირებულია 10,212.7 მლნ ლარამდე (9%-ით). აღნიშნული შემცირება უკავშირდება საგადასახადო შემოსავლებს, რომელიც COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის შედეგად გაუარესებული მაკროეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული. რაც შეეხება გრანტებსა და სხვა შემოსავლებს, აღნიშნული მიმართულებით გათვალისწინებულია შემოსავლების ზრდა.

- წარმოდგენილი კანონპროექტით საგადასახადო შემოსავლები დამტკიცებულ გეგმასთან (10,465.0 მლნ ლარი) მიმართებაში მცირდება 1,485.7 მლნ ლარით (14.2%-ით) და შეადგენს 8,979.4 მლნ ლარს.

	2019 ფაქტი	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა		2020 პროექტი / 2019 ფაქტი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
საგადასახადო შემოსავლები	9,665.6	10,465.0	8,979.4	-1,485.7	-14.2%	-686.2	-7.1%
საშემოსავლო გადასახადი	3,200.3	3,415.0	2,990.0	-425.0	-12.4%	-210.3	-6.6%
მოგების გადასახადი	866.3	970.0	840.0	-130.0	-13.4%	-26.3	-3.0%
დღგ	4,243.6	4,398.3	3,754.4	-644.0	-14.6%	-489.3	-11.5%
აქციზი	1,506.7	1,400.0	1,325.0	-75.0	-5.4%	-181.7	-12.1%
იმპორტის გადასახადი	79.1	80.0	70.0	-10.0	-12.5%	-9.1	-11.5%
სხვა გადასახადები	-230.3	201.7	-	-201.7	-100.0%	230.3	-100.0%

ცხრილი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2019-2020 წლებში (მლნ ლარი, %).


კლება ეხება ყველა სახის გადასახადს, მ.შ. ყველაზე მნიშვნელოვნად მცირდება დღგ (644.0 მლნ ლარით), საშემოსავლო გადასახადი (425.0 მლნ ლარით, საიდანაც 230.0 მლნ ლარზე მეტი შემცირება გამოწვეულია საგადასახადო შეღავათის დაწესებით¹⁰) და მოგების გადასახადი (130.0 მლნ ლარით). მცირდება, ასევე, აქციზი და იმპორტის გადასახადი (შესაბამისად, 75.0 მლნ

¹⁰ <https://info.parliament.ge/#/law-drafting/20350>

ლარით და 10.0 მლნ ლარით). რაც შეეხება სხვა გადასახადს, რომლის გეგმური მოცულობა განსაზღვრული იყო 201.7 მლნ ლარის დონეზე, ნულდება, რაც ძირითადად დაკავშირებულია დღგ-ს დამატებით დაბრუნებასთან¹¹.

გადასახადების საპროგნოზო მოცულობა ასევე მცირდება 2018-2019 წლების მაჩვენებლებთან შედარებითაც და თითქმის უთანაბრდება 2017 წლის მაჩვენებელს. აღნიშნულ წლებთან გადასახადების შემცირება გამოწვეულია ძირითადად დღგ-სა და აქციზის შემცირებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2012-2020 წლებში



დიაგრამა 8: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2012-2020 წლებში (მლნ ლარი).

საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას, საინტერესოა განხილულ იქნას **ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები**. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების დოკუმენტის მიხედვით, 2020 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 10,510.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2020 წლის გეგმურ მაჩვენებელზე (12,305.0 მლნ ლარი) 14.6%-ით, ხოლო 2019 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე (11,417.8 მლნ ლარი) 8%-ით ნაკლებია.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი		2020 წლიური გეგმა (პროგნოზი)	2020 პროექტი (პროგნოზი)	2021 პროგნოზი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
	გადასახადები		12,496.2	10,209	11,898	13,094	14,345
არაპირდაპირი		7,158.7	5,935	7,072	7,589	8,259	8,959
პირდაპირი		5,337.5	4,275	4,826	5,506	6,086	6,859
მთავრობა	გადასახადები	12,305.0	10,510	12,106	13,490	14,928	16,281
	არაპირდაპირი	6,973.0	5,896	6,855	7,637	8,442	9,192
	პირდაპირი	5,332.0	4,614	5,251	5,853	6,486	7,089

ცხრილი 5: ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი).


საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით¹², 2020 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 10,209 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2,287 მლნ ლარით ჩამორჩება საბიუჯეტო ოფისის მიერ დეკემბერში გაკეთებულ 2020 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელს და 301 მლნ ლარით

¹¹ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, დღგ-ს დამატებით დაბრუნებისათვის გათვალისწინებულია 600 მლნ ლარი, რომელიც ნაწილობრივ დაბრუნდება ამ მიზნისთვის არსებულ ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, ხოლო ნაწილი ასახულია საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლებში.

¹² დეტალურად იხილეთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დოკუმენტი „მაკროეკონომიკური პროგნოზები 2020-2024“: <http://pbo.parliament.ge/ge/mcp20/item/589-2020>

ნაკლებია 2020 ბიუჯეტის ცვლილების პროექტით წარმოდგენილ მთავრობის პროგნოზთან შედარებით (10,510.0 მლნ ლარი).

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების მიხედვით, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, გადასახადების ჯამური მოცულობის 56.1%-ს არაპირდაპირი გადასახადები შეადგენს, ხოლო 43.9%-ს - პირდაპირი გადასახადები. 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საპროგნოზო მონაცემებით აღნიშნული პროცენტული გადანაწილება, შესაბამისად, 56.7% და 43.3%-ია.



დიაგრამა 9: პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2020 წლებში (მლნ ლარი, %).

• 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით **გრანტების** სახით მისაღები შემოსავლების გეგმა განსაზღვრულია 241.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, აღნიშნული გეგმა იზრდება 558.3 მლნ ლარამდე. ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები შეადგენს 460.0 მლნ ლარს, საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები 48.3 მლნ ლარს, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადასაცემი სახსრები - 50.0 მლნ ლარს.

2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით გრანტების საპროგნოზო მოცულობა, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, 2-ჯერ, 316.4 მლნ ლარით არის გაზრდილი, რაც ძირითადად მოდის საბიუჯეტო გრანტებზე. კერძოდ, სახელმწიფო მდგრადობის პროგრამის ფარგლებში, პანდემიიდან გამოწვეული დეფიციტის დასაფინანსებლად¹³, ევროკავშირიდან გათვალისწინებულია დამატებით 330 მლნ ლარის მიღება, შედეგად, საბიუჯეტო გრანტები იზრდება 460 მლნ ლარამდე. საინვესტიციო გრანტების საპროგნოზო მოცულობა იმატებს 1.4 მლნ ლარით, ხოლო სსიპ-ების მიერ გადმოსარიცხი თანხები¹⁴ მცირდება 15 მლნ ლარით.


2019 წლის ფაქტობრივ მარჯვენაელთან შედარებით 2020 წლის გრანტების საპროგნოზო სიდიდე იზრდება 68.7 მლნ ლარით, საბიუჯეტო გრანტების მატების გავლენით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების სახით შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში.

¹³ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათში მითითებული ინფორმაციის მიხედვით.

¹⁴ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის, 35-ე მუხლის შესაბამისად: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა მის მიერ 2020 წელს მოხილზებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების არანაკლებ 10% მიმართოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“

გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში



დიაგრამა 10: გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში (მლნ ლარი)

• 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განსაზღვრულია 520.0 მლნ ლარით, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია სხვა შემოსავლების გეგმის გაზრდა 155.0 მლნ ლარით (29.8%-ით) და შესაბამისად შეადგენს 675.0 მლნ ლარს. აღნიშნული მატება ძირითადად მოდის არაკლასიფიცირებული ტრანსფერების და საკუთრებიდან შემოსავლების მარგენებელთა ზრდაზე, ხოლო ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და ჯარიმების სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მარგენებლები შემცირებულია დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით.

	2019 ფაქტი	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა		2020 პროექტი / 2019 ფაქტი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
სხვა შემოსავლები	519.8	520.0	675.0	155.0	29.8%	155.2	29.8%
შემოსავლები საკუთრებიდან	211.7	191.0	274.5	83.5	43.7%	62.8	29.6%
პროცენტები	107.6	95.0	148.5	53.5	56.3%	40.9	38.1%
დივიდენდები	80.4	71.0	101.0	30.0	42.3%	20.6	25.6%
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან	0.4	1.0	1.0	0.0	0.0%	0.6	132.5%
ეროვნული ბანკის მოგებიდან	80.0	70.0	100.0	30.0	42.9%	20.0	25.0%
რენტა	23.8	25.0	25.0	0.0	0.0%	1.2	5.3%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	95.4	101.0	59.5	-41.5	-41.1%	-35.9	-37.7%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	92.3	97.4	55.9	-41.5	-42.6%	-36.4	-39.4%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	3.1	3.6	3.6	0.0	0.0%	0.5	15.0%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	98.1	105.0	85.0	-20.0	-19.0%	-13.1	-13.4%
ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	114.5	123.0	256.0	133.0	108.1%	141.5	123.5%

ცხრილი 6: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2019-2020 წლებში (მლნ ლარი, %).

არაკლასიფიცირებული ტრანსფერების მოცულობა გაზრდილია 2-ჯერ, 123.0 მლნ ლარიდან 256.0 მლნ ლარამდე, StopCoV ფონდში მობილიზებული 133.5 მლნ ლარის აღნიშნულ მუხლში ასახვის შედეგად¹⁵. საკუთრებიდან შემოსავლები იმატებს 83.5 მლნ ლარით, რაც დაკავშირებულია დამატებით მობილიზებული რესურსების დეპოზიტებზე განთავსების საფუძველზე პროცენტის მუხლით შემოსავლების 53.5 მლნ ლარით ზრდასთან, აგრეთვე, ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდების 30.0 მლნ ლარით მატებასთან. რაც შეეხება


¹⁵ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათში მითითებული ინფორმაციის მიხედვით.

ჯარიმებს (სანქციებს, საურავებს) და ადმინისტრაციულ მოსაკრებლებსა და გადასახდელებს, აღნიშნული შემოსავლები შემცირებულია შესაბამისად, 20.0 მლნ ლარით და 41.5 მლ ლარით.

2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა, ასევე, გაზრდილია 2019 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით, ძირითადად, არაკლასიფიცირებული ტრანსფერების მატების გავლენით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში




დიაგრამა 11: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში (მლნ ლარი).

არაფინანსური აქტივების კლება

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია 130 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 40 მლნ ლარით, 90 მლნ ლარამდე და თითქმის უთანაბრდება 2019 წლის ფაქტობრივ სიდიდეს. 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები შემცირებულია 110 მლნ ლარიდან 80 მლნ ლარამდე, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდან შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირებულია 20 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე.

არაფინანსური აქტივების კლება კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში




დიაგრამა 12: არაფინანსური აქტივების კლება კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში (მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების კლება

2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, ფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 80.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 50.0 მლნ ლარით ნაკლებია 2020 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ სიდიდესთან შედარებით. როგორც დამტკიცებული ბიუჯეტის, ისე ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობები სრულად მოდის სესხების დაბრუნებით მისაღებ თანხებზე.

ფინანსური აქტივების კლება კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში



დიაგრამა 13: ფინანსური აქტივების კლება კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში (მლნ ლარი)

ვალდებულებების ზრდა

COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავრცელების უარყოფითი შედეგების გათვალისწინებითა და დამატებითი რესურსების მოძიება/მოზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი, 2020 წლის დამტკიცებულ გეგმურ სიდიდესთან (3,067.3 მლნ ლარი) შედარებით, გაზრდილია 4,970.3 მლნ ლარით (162.0%-ით) და განსაზღვრულია 8,037.6 მლნ ლარის დონეზე. აღნიშნული მატება მოდის როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალდებულებების ზრდაზე. კერძოდ, დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, საგარეო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი 4,320.3 მლნ ლარით არის გაზრდილი, რაც სრულად მოდის ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მოცულობის ზრდაზე (4,470.0 მლნ ლარი), ხოლო საინვესტიციო კრედიტების მოცულობა შემცირებულია 149.7 მლნ ლარით.

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდას (ფასიანი ქაღალდების შესყიდვებისა და დაფარვის ოპერაციების შედეგად წმინდა ვალდებულებების ზრდა), აღნიშნული კომპონენტი, 2020 წლის დამტკიცებულ გეგმურ მაჩვენებელთან (1,200.0 მლნ ლარი) შედარებით გაზრდილია 650.0 მლნ ლარით და 1,850.0 მლნ ლარს შეადგენს¹⁶.

	2019 ფაქტი	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა		2020 პროექტი / 2019 ფაქტი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების ზრდა	2,335.4	3,067.3	8,037.6	4,970.3	162.0%	5,702.2	244.2%
საგარეო	1,386.6	1,867.3	6,187.6	4,320.3	231.4%	4,800.9	346.2%
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	409.0	685.0	5,155.0	4,470.0	652.6%	4,746.0	1160.4%
საინვესტიციო კრედიტები	977.6	1,182.3	1,032.6	-149.7	-12.7%	55.0	5.6%
საშინაო	948.8	1,200.0	1,850.0	650.0	54.2%	901.2	95.0%

ცხრილი 7: სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის მაჩვენებლები 2019-2020 წლებში (მლნ ლარი, %).

¹⁶ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათში მითითებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული ზრდიდან 600 მლნ ლარი წარმოადგენს კომერციული ბანკებისთვის გრძელვადიანი ლარის მიწოდების ინსტრუმენტს და მიღებული თანხები სრულად განთავსდება შესაბამისი კომერციული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატებში


ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მოცულობის ზრდა ძირითადად დაკავშირებულია პანდემიის შედეგად წარმოქმნილი საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსებლად დამატებით სახსრების გამოყოფასთან, რომლის მიღებაც გათვალისწინებულია შემდეგი ორგანიზაციებიდან:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან (IMF) EFF გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის პროგრამის ფარგლებში (COVID-19 პანდემია) – 603.0 მლნ ლარი;
- აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) – 1,455.0 მლნ ლარი: მ.შ: სსე-ს კორპორატიზაციისა და ენერჯობაზრის რეფორმის პროგრამის ფარგლებში - დამატებით 195.0 მლნ ლარი; COVID-19-ზე საგანგებო რეაგირებისა და დანახარჯების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში - 300.0 მლნ ლარი; ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მატრიცის (სოციალური დაცვა) პროგრამის ფარგლებში - 600.0 მლნ ლარი; დარგობრივი სესხები - განათლების სექტორისთვის - 120.0 მლნ ლარი და წყლის სექტორისთვის - 240.0 მლნ ლარი;
- გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) – 885.1 მლნ ლარი; მ.შ: განვითარების პოლიტიკის ღონისძიების დამატებითი მხარდაჭერა/დაფინანსება პროექტის ფარგლებში - 585.0 მლნ ლარი; ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი - PBL II ფარგლებში - დამატებით 3.1 მლნ ლარი და PBL III ფარგლებში - 297.0 მლნ ლარი;
- აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) – 450.0 მლნ ლარი; მ.შ: ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობის პროგრამის - (COVID-19 კრიზისის შემსუბუქება) ფარგლებში - 150.0 მლნ ლარი და COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროგრამის ფარგლებში - 300.0 მლნ ლარი;
- საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) – დამატებით 439.8 მლნ ლარი; მ.შ: სოციალური კეთილდღეობის პროგრამა - ფაზა III-ის ფარგლებში - დამატებით 176.3 მლნ ლარი; ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში - დამატებით 263.5 მლნ ლარი;
- მსოფლიო ბანკი (WB) – 396.1 მლნ ლარი; მ.შ: COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროგრამის ფარგლებში - 240 მლნ ლარი; განვითარების პოლიტიკის ღონისძიება ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობისთვის პროგრამის ფარგლებში - 150.0 მლნ ლარი და განვითარების პოლიტიკის ოპერაციის (DPO-2019) პროგრამის ფარგლებში - დამატებით 6.1 მლნ ლარი;
- ევროკავშირიდან (EU) – 241.0 მლნ ლარი, მ.შ: მაკროფინანსური დახმარების (MFA) პროგრამის ფარგლებში - დამატებით 1.0 მლნ ლარი და (MFA) IV პროგრამის ფარგლებში - 240 მლნ ლარი.

2012-2020 წლებში, ყოველწლიურად, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მოცულობა ზრდის ტენდენციას ავლენს (როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალდებულებების ზრდის ხარჯზე), გარდა 2013 და 2015 წლებისა. 2013 - 2019 წლებში აღნიშნული კომპონენტის ზრდის საშუალო მაჩვენებელი 22.4%-ს შეადგენს. წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან მიმართებით, 2020 წელს ვალდებულებების ზრდის დამტკიცებული ჯამური სიდიდე 731.9 მლნ ლარით (31.3%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება მოდის როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალდებულებების ზრდაზე. 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით, ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი 2019 წლის ფაქტობრივ მონაცემს 5,702.2 მლნ ლარით (3.4-ჯერ) აღემატება. აღნიშნული მატება მოდის როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალდებულებების ზრდაზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2012-2020 წლებში.

საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2012-2020 წლებში




დიაგრამა 14: საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2012-2020 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი 2020 წელს, წინა წლების ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შედარებით, ვალდებულებების ზრდით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც შესაბამისად აისახება მის სტრუქტურაზეც: 2019 წელს ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობის 40.6% საშინაო ვალდებულებების ზრდაზე მოდიოდა, შესაბამისად, 59.4% საგარეო ვალდებულებების ზრდამ შეადგინა. 2020 წლის დამტკიცებული გეგმის მიხედვით, საშინაო ვალდებულებების ზრდის წილი შემცირებულია მცირედით - 39.1%-მდე, ხოლო საგარეო ვალდებულებების ზრდის წილი გაზრდილია 60.9%-მდე. 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ვალდებულებების ზრდის 77%-ს საგარეო ვალდებულებების ზრდა, ხოლო 23%-ს საშინაო ვალდებულებების ზრდა წარმოადგენს.

2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებზე მოდის საგარეო ვალდებულებების ზრდის 83.3% (5,155.0 მლნ ლარი), ხოლო საინვესტიციო კრედიტებზე - 16.7% (1,032.6 მლნ ლარი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ბიუჯეტის მხარდამჭერი და საინვესტიციო კრედიტების დინამიკა 2012-2020 წლებში.

ბიუჯეტის მხარდამჭერი და საინვესტიციო კრედიტების დინამიკა 2012-2020 წლებში



დიაგრამა 15: ბიუჯეტის მხარდამჭერი და საინვესტიციო კრედიტების დინამიკა 2012-2020 წლებში (მლნ ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გადასახდელების გეგმა განსაზღვრულია **14,432.9 მლნ ლარის** ოდენობით, ხოლო „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, გადასახდელების გეგმა განისაზღვრა **15,923.8 მლნ ლარის ოდენობით**, რაც დამტკიცებულ მოცულობას 1,490.9 მლნ ლარით (10.3%-ით) აღემატება.


აღნიშნული მატება ძირითადად მოდის ხარჯების კომპონენტზე, კერძოდ, 2020 წლის გეგმასთან შედარებით, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ხარჯები იზრდება 1,709.9 მლნ ლარით (15.8%), არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი მცირდება 213.5 მლნ ლარით (9.6%), ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი მცირდება 15.4 მლნ ლარით (4.5%), ხოლო ვალდებულებების კლება იზრდება მცირედით - 10.0 მლნ ლარით (1%).

	2019 ფაქტი	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა		2020 პროექტი / 2019 ფაქტი	
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ გადასახდელები	13,469.7	14,432.9	15,923.8	1,490.9	10.3%	2,454.1	18.2%
ხარჯები	9,975.5	10,846.5	12,556.4	1,709.9	15.8%	2,580.9	25.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,256.1	2,221.4	2,007.8	-213.5	-9.6%	-248.3	-11.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	278.9	342.2	326.8	-15.4	-4.5%	47.9	17.2%
ვალდებულებების კლება	959.2	1,022.7	1,032.7	10.0	1.0%	73.6	7.7%

ცხრილი 8: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2019-2020 წლებში (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2012-2020 წლებში შემადგენელი კომპონენტების მიხედვით:

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში




დიაგრამა 16: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2012-2020 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაგალითისათვის 2020 წლის პროექტის მიხედვით გადასახდელების მარჯვენაელი 2012 წლის ფაქტთან შედარებით გაზრდილია 8,117.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდის და ვალდებულებების კლების მარჯვენალების ზრდით. თუმცა, თუ განვიხილავთ მათ წილს გადასახდელებში, 2012-2019 წლებში ხარჯების წილი კლების, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის და ვალდებულებების კლების წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. რაც შეეხება,

2020 წლის პროექტის მიხედვით, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის წილს მთლიან გადასახდელებში, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, ხარჯების წილი გაზრდილია 75.2%-დან 78.9%-მდე, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი შემცირებულია 15.4%-დან 12.6%-მდე.

გადასახდელებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2020 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების პროცენტული განაწილება:

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2012-2020 წლებში



დიაგრამა 17: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2012-2020 წლებში (%).

რაც შეეხება 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების ზრდას მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია 55 მხარჯავი დაწესებულება¹⁷, რომელთაგან 17-ის ფარგლებში განსაზღვრულია ჯამურად 124 პროგრამა¹⁸, ხოლო 38 მხარჯავი დაწესებულებისთვის არ არის პროგრამები გათვალისწინებული.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით არ არის შეცვლილი მხარჯავი დაწესებულებების რიცხოვნობა, თუმცა დამატებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 1 პროგრამა - „ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული კარანტინისა და სხვა ღონისძიებების განხორციელება“ (პროგრამული კოდი - 24 25), შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით პროგრამების რაოდენობა გაზრდილია 125 ერთეულამდე.

რაც შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით აღნიშნული გადასახდელები აერთიანებს 13 პროგრამულ კოდს, რომელთაც, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით ემატება 1 ახალი პროგრამული კოდი - „StopCoV ფონდი“ (პროგრამული კოდი - 56 17).

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელებიდან (14,432.9 მლნ ლარი) 11,666.1 მლნ ლარი გათვალისწინებულია მხარჯავი დაწესებულებებისათვის, ხოლო საერთო-


¹⁷ მხარჯავი დაწესებულება – სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის – პროგრამული კლასიფიკაციის პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის – თვითმმართველი ერთეული; (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი)

¹⁸ პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსაზღვრული ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დატკიცებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება; (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი)

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე გადანაწილებულია 2,766.8 მლნ ლარი. პროექტის მიხედვით, მხარჯავი დაწესებულებების ჯამური ასიგნება იზრდება 1,230.4 მლნ ლარით, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ასიგნება - 260.5 მლნ ლარით (დეტალურად იხილეთ „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“) და განისაზღვრება შესაბამისად, 12,896.5 მლნ ლარის და 3,027.3 მლნ ლარის ოდენობით.

მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების ზრდა გადანაწილებულია 3 სამინისტროზე, კერძოდ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება იზრდება - 1,152.0 მლნ ლარით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 458.4 მლნ ლარით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 123.9 მლნ ლარით.

რაც შეეხება შემცირებებს, საბიუჯეტო ასიგნება შემცირდა 27 მხარჯავ დაწესებულებას ჯამურად 503.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო უცვლელი დარჩა 25 მხარჯავ დაწესებულებას.



დიაგრამა 18: 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების პროცენტული ცვლილების მაჩვენებლები დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით (ერთეული).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მხარჯავი დაწესებულებების 2020 წლის დამტკიცებული და პროექტით გათვალისწინებული გეგმების ცვლილება.


კოდი	დასახელება	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
მხარჯავი დაწესებულებები რომელთა დაფინანსება იზრდება კანონში ცვლილების პროექტით					
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	4,363.0	5,515.0	1,152.0	26.4%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	364.0	822.4	458.4	125.9%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	353.0	476.9	123.9	35.1%
მხარჯავი დაწესებულებები რომელთა დაფინანსება მცირდება კანონში ცვლილების პროექტით					
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2,071.6	1,820.3	-251.3	-12.1%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,666.5	1,538.8	-127.7	-7.7%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	880.0	805.0	-75.0	-8.5%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	93.0	81.0	-12.0	-12.9%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	770.0	760.0	-10.0	-1.3%
09 00	საერთო სასამართლოები	84.4	76.4	-8.0	-9.5%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	64.7	60.7	-4.0	-6.2%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	159.0	156.0	-3.0	-1.9%
	სხვა დანარჩენი მხარჯავი დაწესებულებები (19 მხარჯავი დაწესებულება)	299.9	287.1	-12.8	-4.3%

ცხრილი 9: მხარჯავი დაწესებულებების 2020 წლის დამტკიცებული და პროექტით გათვალისწინებული გეგმების ცვლილება (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს

კანონით განსაზღვრულ 124 პროგრამას¹⁹, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ემატება 1 პროგრამა („ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული კარანტინისა და სხვა ღონისძიებების განხორციელება“), რომლის ასიგნება განსაზღვრულია 45.0 მლნ ლარის ოდენობით. გარდა ამისა, პროგრამების დაფინანსება დამატებით იზრდება 1,196.1 მლნ ლარის ოდენობით, შესაბამისად, ბიუჯეტის ცვლილების პროექტი ითვალისწინებს პროგრამების დაფინანსების ზრდას ჯამურად 1,241.1 მლნ ლარის ოდენობით (11,397.4 მლნ ლარიდან 12,638.5 მლნ ლარამდე). 124 პროგრამიდან იზრდება 11 პროგრამის დაფინანსება, მცირდება 57 პროგრამის დაფინანსება, ხოლო 56 პროგრამის დაფინანსება უცვლელი რჩება.

პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება დამტკიცებულ საგეგმო მარგენებლეთან მიმართებაში იზრდება ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით




დიაგრამა 19: პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება დამტკიცებულ საგეგმო მარგენებლეთან მიმართებაში იზრდება ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით (ერთეული).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 11 პროგრამიდან მხოლოდ 1 შემთხვევაში, პროექტით გათვალისწინებული ასიგნების ზრდა დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით 10%-15%-ის ინტერვალშია. დანარჩენ შემთხვევებში არის მკვეთრი მატებები, 4 პროგრამის შემთხვევაში კი მატება 100%-ს აჭარბებს.

რაც შეეხება შემცირებებს, მატებებისგან განსხვავებით, უმეტეს შემთხვევაში არ არის საგრძნობი გადახრები, თუმცა გამონაკლისები ამ შემთხვევაშიც გვხვდება.

პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება მცირდება ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით



დიაგრამა 20: პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება მცირდება ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით (ერთეული).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 57 პროგრამიდან 42 პროგრამის შემთხვევაში ადგილი არ აქვს ასიგნებების მკვეთრ კლებას, კერძოდ მათი ასიგნებების შემცირება, დამტკიცებულ

¹⁹ აქ იგულისხმება მხოლოდ ის პროგრამები, რომლებიც წარმოადგენენ მხარჯავი დაწესებულების ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებს.

გეგმასთან მიმართებით, 0-დან 20%-მდე მერყეობს. ხოლო, 15 პროგრამის შემთხვევაში, ასიგნების შემცირება 20%-ს აღემატება.

კოდი	დასახელება	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
პროგრამები რომელთა ასიგნებების მატება, დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით, აღემატება 20%-ს					
24 07	მენარმეობის განვითარება	57.6	477.0	419.5	728.9%
31 03	მევენახეობა-მელვინეობის განვითარება	12.7	80.0	67.3	529.6%
27 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	25.0	85.0	60.0	240.0%
32 15	გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამა (IBRD)	2.0	6.3	4.3	217.1%
26 08	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	4.4	7.4	3.0	68.0%
24 13	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)	15.0	25.0	10.0	66.7%
31 05	ერთიანი აგროპროექტი	142.5	211.8	69.3	48.6%
27 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა	67.1	87.5	20.4	30.4%
27 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	1078.6	1366.3	287.7	26.7%
27 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	3126.0	3911.80	785.8	25.1%
პროგრამები რომელთა ასიგნებების შემცირება, დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით, აღემატება 20%-ს					
29 10	საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	35.0	5.0	-30.0	-85.7%
31 15	მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა	2.4	1.1	-1.2	-52.1%
31 13	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	2.6	1.3	-1.3	-48.9%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	8.0	4.2	-3.8	-47.5%
25 06	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	55.0	30.0	-25.0	-45.5%
24 19	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	1.2	0.7	-0.5	-41.7%
32 11	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	130.4	84.3	-46.1	-35.4%
32 12	კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები	21.1	13.9	-7.2	-34.1%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	31.7	22.7	-9.0	-28.5%
31 11	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის და განათლება მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობის პროგრამა	4.9	3.5	-1.3	-27.5%
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	9.2	7.0	-2.2	-23.8%
31 07	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	20.3	15.8	-4.5	-22.1%
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	24.2	19.2	-5.0	-20.6%
31 01	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	14.0	11.2	-2.9	-20.4%
32 09	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	88.7	70.9	-17.8	-20.1%


ცხრილი 10: პროგრამები, რომელთა ასიგნებების ცვლილება, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, აღემატება 20%-ს (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურას ე.წ. მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებთან მიმართებაში, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, პროექტის მიხედვით პროგნოზირებული მშპ-ს 25.8%-ს შეადგენს, რაც 2012-2020 წლებში ყველაზე მაღალ სიდიდეს წარმოადგენს. 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი 21.5%-ით იყო განსაზღვრული. რაც შეეხება ე.წ. კაპიტალურ ხარჯებს (არაფინანსური აქტივების ზრდისა და ფინანსური აქტივების ზრდის ჯამი) მისი შეფარდება მშპ-

თან, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით არ არის შეცვლილი და 7.3%-ის ოდენობით არის განსაზღვრული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ნაერთი ბიუჯეტის ე.წ. მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან 2012-2020 წლებში.

ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან



დიაგრამა 21: ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან (%)

ხარჯები

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების დაფინანსება, დამტკიცებულ გეგმასთან (10,846.5 მლნ ლარი) შედარებით, იზრდება 1,709.9 მლნ ლარით და წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განსაზღვრულია 12,556.4 მლნ ლარის ოდენობით. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

	2019 ფაქტი	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა		2020 პროექტი / 2019 ფაქტი	
				სხმაობა	%-ული ცვლილება	სხმაობა	%-ული ცვლილება
ხარჯები	9,975.5	10,846.5	12,556.4	1,709.9	15.8%	2,580.9	25.9%
შრომის ანაზღაურება	1,454.7	1,576.0	1,554.3	-21.7	-1.4%	99.6	6.8%
საქონელი და მომსახურება	1,301.9	1,373.7	1,510.6	136.9	10.0%	208.6	16.0%
პროცენტი	604.5	751.0	783.0	32.0	4.3%	178.5	29.5%
სუბსიდიები	489.7	516.5	980.5	464.1	89.9%	490.8	100.2%
გრანტები	798.3	726.1	806.7	80.6	11.1%	8.4	1.0%
სოციალური უზრუნველყოფა	3,946.6	4,294.8	5,339.9	1,045.0	24.3%	1,393.2	35.3%
სხვა ხარჯები	1,379.8	1,608.5	1,581.5	-27.0	-1.7%	201.7	14.6%

ცხრილი 11: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2019-2020 წლებში (მლნ ლარი, %)

როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, შემცირება შეეხო „სხვა ხარჯების“ მუხლს 27.0 მლნ ლარის ოდენობით და „შრომის ანაზღაურების“ მუხლს 21.7 მლნ ლარის ოდენობით.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლის შემცირება გადანაწილებულია 23 მხარტავ დაწესებულებაზე, ხოლო 1 მხარტავი დაწესებულების შემთხვევაში (სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია) „შრომის ანაზღაურების“ მუხლი იზრდება მცირედით - 0.1 მლნ ლარით.

კოდი	დასახელება	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	1.6	1.7	0.1	6.1%
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	0.4	0.4	-0.04	-8.9%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1.2	1.1	-0.1	-4.3%
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	0.8	0.7	-0.1	-6.5%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	2.6	2.5	-0.1	-3.8%
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	3.2	3.1	-0.1	-3.1%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	4.4	4.3	-0.1	-2.5%
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	1.5	1.3	-0.2	-11.0%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1.1	1.0	-0.2	-16.0%
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	0.5	0.2	-0.3	-55.6%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	9.7	9.4	-0.3	-3.1%
54 00	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	1.2	0.8	-0.4	-34.5%
55 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	1.9	1.5	-0.4	-21.6%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	2.4	2.0	-0.4	-16.5%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	31.8	31.3	-0.5	-1.6%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	13.1	12.2	-0.9	-7.0%
51 00	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	5.1	4.1	-1.0	-19.6%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	15.7	14.6	-1.1	-6.9%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	47.2	46.0	-1.3	-2.6%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	10.3	9.0	-1.3	-13.0%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	86.3	84.8	-1.5	-1.7%
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	36.9	34.2	-2.8	-7.4%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	83.4	79.5	-3.9	-4.7%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	47.4	42.4	-5.0	-10.5%
ჯამურად შრომის ანაზღაურების შემცირება				-21.7	


ცხრილი 12: „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ცვლილება მხარტავი დაწესებულებების მიხედვით (მლნ ლარი, %)

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით გათვალისწინებულია „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის 26-ე მუხლში „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების დამატება, რომლის მიხედვითაც „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 2020 წლის ბოლომდე, დაუშვებელია საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯილდოს და დანამატის გაცემა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საკლასო დანამატისა და იმ დანამატებისა, რომლებიც დაწესებულია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე²⁰. აღნიშნული შეზღუდვიდან გამონაკლისი შესაძლებელია დაიშვას, მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

რაც შეეხება „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ხარჯებთან მიმართებაში, 2020 წლის დამტკიცებული გეგმის მიხედვით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლის გეგმა ხარჯების 14.5%-ს წარმოადგენს, რაც დაბალი ნიშნულია 2012-2019 წლებში დაფიქსირებულ ფაქტობრივ ნიშნულებთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების - 10.9%-ს, ხოლო 2019 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობის მიერ პროგნოზირებული მშპ-ის - 3.0%-ს.

²⁰ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: 5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული: ა) „პირის მიერ ამ კანონის ან/და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული ყველა დანამატის, ფულადი ჯილდოს და სხვა დამატებითი ანაზღაურების ოდენობაზე ვრცელდება ამ კანონის 26-ე–28-ე მუხლებით დადგენილი ზღვრული ოდენობები, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული საკლასო დანამატისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ შემთხვევებისა, როდესაც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ დამატებითი ანაზღაურების მისაღებად დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები (მათ შორის, ნამსახურები წლები) და დანამატის ოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტით ან/და „საიდუმლო“ გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;“

სახელმწიფო ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლის ფარდობის მაჩვენებლები




დიაგრამა 22: სახელმწიფო ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლის ფარდობის მაჩვენებლები მშპ-თან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელეთან და ხარჯებთან 2012-2020 წლებში (%).

2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვინაიდან მცირდება შრომის ანაზღაურების მუხლის გეგმა და იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და გადასახდელების მოცულობა, შესაბამისად მცირდება შრომის ანაზღაურების მუხლის ფარდობის მაჩვენებელი ხარჯებთან და გადასახდელეთან 12.4%-მდე და 9.8%-მდე. რაც შეეხება შრომის ანაზღაურების ფარდობის მაჩვენებელს მშპ-თან, საქართველოს მთავრობის პროგნოზის მიხედვით, 2020 წლისთვის შემცირებულია ნომინალური მშპ და შესაბამისად გაიზარდა შრომის ანაზღაურების მუხლის ფარდობის მაჩვენებელი 3.1%-მდე.

რაც შეეხება ხარჯების ზრდას ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის 2020 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 4,294.8 მლნ ლარს, ხოლო წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება 1,045.0 მლნ ლარის ოდენობით (24.3%-ით) და განისაზღვრა 5,339.9 მლნ ლარით, რაც 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი ხარჯების 42.5%-ს, ხოლო გადასახდელების 33.5%-ს შეადგენს.

2012-2020 წლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის წილი ხარჯებსა და გადასახდელებში



დიაგრამა 23: 2012-2020 წლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის წილი ხარჯებსა და გადასახდელებში (მლნ ლარი, %)

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი ყოველწლიურად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და მაქსიმუმს 2020 წლისთვის აღწევს. 2012 წლის ფაქტთან შედარებით 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული მოცულობა გაზრდილია 3.1-ჯერ. რაც შეეხება მის წილს გადასახდელებსა და ხარჯებში, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი მაქსიმუმს 2020 წლისთვის აღწევს.

2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, „სუბსიდიების“ მუხლის დამტკიცებული გეგმა (516.5 მლნ ლარი) იზრდება 464.1 მლნ ლარით და განსაზღვრულია 980.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც თითქმის 2-ჯერ აღემატება დამტკიცებულ მოცულობას.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის დამტკიცებული მოცულობა (1,373.7 მლნ ლარი) იზრდება 136.9 მლნ ლარით და შედგენს 1,510.6 მლნ ლარს.

დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 80.6 მლნ ლარით იზრდება **„გრანტების“** მუხლის მოცულობა და 806.7 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული მატება ძირითადად მოდის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდზე“ და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებზე.


„პროცენტის“ მუხლის დამტკიცებული ოდენობა 751.0 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განსაზღვრულია 783.0 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული მატება (32.0 მლნ ლარი) სრულად მოდის საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე.

რაც შეეხება ხარჯების ცვლილებას მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 55 მხარჯავი დაწესებულებიდან 4 მხარჯავ დაწესებულებას ხარჯები ჯამურად ეზრდება 1,627.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში ხარჯების ზრდა 255.5 მლნ ლარს შეადგენს. ხარჯები უმცირდება 24 მხარჯავ დაწესებულებას, ჯამურად 173.0 მლნ ლარის ოდენობით. ხოლო, ხარჯები უცვლელი რჩება 27 მხარჯავ დაწესებულებას.

კოდი	დასახელება	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები და ის მხარჯავი დაწესებულებები რომელთა ხარჯები იზრდება დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით					
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	4,294.7	5,361.1	1,066.4	24.8%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	314.0	759.1	445.1	141.8%
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1,584.8	1,840.3	255.5	16.1%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	324.6	439.7	115.1	35.5%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	192.0	192.7	0.8	0.4%
მხარჯავი დაწესებულებები რომელთა ხარჯები მცირდება დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით					
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	0.5	0.5	-0.1	-10.0%
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1.5	1.4	-0.1	-6.4%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	6.9	6.7	-0.1	-1.6%
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	4.5	4.4	-0.2	-3.6%
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	2.2	1.9	-0.2	-10.2%
53 00	სსიპ - სატარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	0.5	0.2	-0.3	-50.4%
35 00	სსიპ - სატარო სამსახურის ბიურო	1.6	1.3	-0.3	-16.4%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2.9	2.5	-0.4	-13.6%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	10.5	10.0	-0.5	-4.4%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16.0	15.4	-0.6	-3.8%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7.9	7.3	-0.6	-7.6%
55 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	3.1	2.4	-0.7	-22.6%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	55.6	54.9	-0.7	-1.3%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	6.9	6.2	-0.8	-10.9%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	700.0	699.1	-0.9	-0.1%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	16.3	15.3	-1.0	-6.1%
51 00	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	7.3	6.3	-1.0	-13.7%
54 00	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	4.9	3.4	-1.5	-30.3%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	58.4	55.9	-2.5	-4.3%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	156.5	153.5	-3.0	-1.9%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	74.1	64.4	-9.8	-13.2%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	679.5	664.5	-15.0	-2.2%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	338.5	292.7	-45.8	-13.5%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,517.3	1,430.1	-87.1	-5.7%


ცხრილი 14: ხარჯების ცვლილება მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით (მლნ ლარი, %)

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2020 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:



დიაგრამა 24: ხარჯების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2012-2020 წლებში (მლნ ლარი)

რაც შეეხება **ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებს**, მისი დინამიკა, 2012-2019 წლებში, ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2013-2019 წლებში საშუალო ზრდის ტემპმა 8.2% შეადგინა. 2020 წლის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 2019 წლის ფაქტობრივ მონაცემს 8.5%-ით აღემატებოდა, თუმცა, 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, 2020 წლის თავდაპირველ პროგნოზთან შედარებით, გაზრდილია 1,546.0 მლნ ლარით და შეადგენს 12,956.0 მლნ ლარს, რაც 23.2%-ით მეტია 2019 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით.



დიაგრამა 25: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და მათი შეფარდება მშპ-თან 2012-2020 წლებში (მლნ ლარი, %)

არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განსაზღვრულია 2,221.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განისაზღვრა 2,007.8 მლნ ლარის ოდენობით, რაც დამტკიცებულ მოცულობაზე 213.5 მლნ ლარით (9.6%-ით) ნაკლებია. აღნიშნული კლება ძირითადად მოდის:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე: „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 25 02) – 116.7 მლნ ლარი, „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 03) – 32.9 მლნ ლარი და „იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი 25 06) – 25.0 მლნ ლარი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროგრამებზე: „საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)“ (პროგრამული კოდი 29 10) – 30.0 მლნ ლარი, „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამული კოდი 29 05) – 20.0 მლნ ლარი და „თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება“ (პროგრამული კოდი 29 08) – 10.0 მლნ ლარი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამებზე: „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამული კოდი 32 07) – 22.0 მლნ ლარი და „სკოლამდელი და ზოგადი განათლება“ (პროგრამული კოდი 32 02) – 11.9 მლნ ლარი.

გარდა ზემოაღნიშნული შემცირებებისა, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, აღნიშნული მუხლით შემცირებები ასევე შეეხო სხვა მხარჯავ დაწესებულებებს და პროგრამებს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული მხარჯავი დაწესებულებების შემთხვევაში ხდება არაფინანსური აქტივების ზრდა. მაგალითად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არაფინანსური აქტივების ზრდის მარჯვენა გზის გაზრდილია 85.6 მლნ ლარით (მ.შ. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა - 60.0 მლნ ლარი და იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა - 20.0 მლნ ლარი) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არაფინანსური აქტივების ზრდის მარჯვენა გზის გაზრდილია 8.8 მლნ ლარით ახალი COVID-19 - დან გამომდინარე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებების დასაფინანსებლად (აღნიშნულ ღონისძიებაზე დამატებით სხვა პროგრამებიდან მოხდა ასიგნებების გადანაწილება და ჯამურად არაფინანსური აქტივების ზრდის მარჯვენა გზის გაზრდილია 14.0 მლნ ლარით განისაზღვრა).

55 მხარჯავი დაწესებულებიდან არაფინანსური აქტივების ზრდის მარჯვენა გზის შეუმცირდა 18 მხარჯავ დაწესებულებას (ჯამურად 307.9 მლნ ლარით), გაეზარდა 2 მხარჯავ დაწესებულებას (ჯამურად 94.4 მლნ ლარით), ხოლო უცვლელი დარჩა 35 მხარჯავ დაწესებულებას.


კოდი	დასახელება	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
მხარტავი დაწესებულებები რომელთა არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი იზრდება დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით					
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	68.3	153.9	85.6	125.4%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	28.4	37.2	8.8	30.9%
მხარტავი დაწესებულებები რომელთა არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი მცირდება დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით					
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	0.01	0.007	-0.003	-30.0%
54 00	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	0.1	0.1	-0.023	-17.7%
43 00	სსიპ - კონკურენციის სააგენტო	0.1	0.0	-0.1	-100.0%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2.3	2.1	-0.2	-7.0%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	0.4	0.1	-0.3	-73.2%
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	0.5	0.1	-0.3	-71.3%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	0.5	0.1	-0.4	-80.0%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	32.1	31.3	-0.8	-2.4%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	1.2	0.3	-0.9	-77.4%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	1.5	0.5	-1.0	-67.6%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	11.9	10.9	-1.0	-8.4%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	6.3	4.8	-1.5	-23.7%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	18.9	16.6	-2.2	-11.9%
09 00	საერთო სასამართლოები	15.8	7.8	-8.0	-50.6%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	70.0	60.9	-9.1	-13.0%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	145.3	104.7	-40.6	-27.9%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	200.5	140.5	-60.0	-29.9%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,601.9	1,420.3	-181.6	-11.3%

ცხრილი 15: არაფინანსური აქტივების ზრდის ცვლილება მხარტავი დაწესებულებების მიხედვით (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის წილს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში, 2012-2019 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და მაქსიმუმს 2019 წელს მიაღწია (გადასახდელების 16.7%). 2020 წლის ბიუჯეტის მიხედვით, არაფინანსური აქტივების ზრდის წილი მთლიან გადასახდელებში 15.4%-ს შეადგენს, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 12.6%-მდე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა და მისი წილი გადასახდელებში 2012-2020 წლებში.

არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა და მისი წილი გადასახდელებში 2012-2020 წლებში



დიაგრამა 26: არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა და მისი წილი გადასახდელებში 2012-2020 წლებში (მლნ ლარი, %)

ფინანსური აქტივების ზრდა

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით **ფინანსური აქტივების ზრდის** გეგმა განსაზღვრულია 342.2 მლნ ლარის ოდენობით, აღნიშნული გეგმა გადანაწილებულია:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე: „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 04) – 129.3 მლნ ლარი, „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 25 05) – 1.2 მლნ ლარი და „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 03) – 0.7 მლნ ლარი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე: „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 14) – 34.0 მლნ ლარი და „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი - 24 13) – 10.0 მლნ ლარი;
- დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (პროგრამული კოდი - 56 13) - 167.0 მლნ ლარი.

ზემოაღნიშნული თანხა (342.2 მლნ ლარი) სრულად საინვესტიციო საკრედიტო რესურსით დაფინანსების წყაროზე მოდის, რაც გულისხმობს მიღებული კრედიტის საშინაო დებიტორზე სესხად გაცემას.

2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი შემცირებულია 15.4 მლნ ლარით. პროექტის მიხედვით სხვადასხვა პროგრამებზე არის როგორც შემცირებები, ასევე ზრდები:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
 - ✓ „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 04) – შემცირებულია 23.5 მლნ ლარით;
 - ✓ „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 25 05) – გაზრდილია 0.3 მლნ ლარით;
 - ✓ „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 03) – შემცირებულია 0.7 მლნ ლარით;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
 - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 14) – გაზრდილია 3.5 მლნ ლარი;
 - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი - 24 13) – გაზრდილია 10.0 მლნ ლარით;
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (პროგრამული კოდი - 56 13) - შემცირებულია 5.0 მლნ ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით მიხედვით ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი განსაზღვრულია 326.8 მლნ ლარის ოდენობით და მსგავსად დამტკიცებული გეგმისა სრულად მოდის საკრედიტო რესურსით დაფინანსების წყაროზე.

ვალდებულებების კლება

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მეოთხე კომპონენტს, ვალდებულებების კლებას, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გეგმა შეადგენს 1,022.7 მლნ ლარს, საიდანაც 978.7 მლნ ლარი მიმართულია საგარეო ვალდებულებების კლებაზე (მ.შ.საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა 975.0 მლნ ლარი), ხოლო 44.0 მლნ ლარი მიმართულია საშინაო ვალდებულებების კლებაზე (მ.შ.საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა 40.0 მლნ ლარი). 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით ვალდებულებების კლების მაჩვენებელი იზრდება 10.0 მლნ ლარი, რომელიც სრულად საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მიიმართება (დეტალურად იხილეთ „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“).

	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა	
			სხვაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების კლება	1,022.7	1,032.7	10.0	1.0%
საგარეო	978.7	988.7	10.0	1.0%
საშინაო	44.0	44.0	0.0	0.0%

ცხრილი 16: ვალდებულებების კლების კომპონენტი 2020 წელს (მლნ ლარი, %)

ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის²¹ მიხედვით ასიგნებები განსაზღვრულია 13,067.9 მლნ ლარით. 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში იზრდება 1,496.3 მლნ ლარით (11.5%-ით) და შეადგენს 14,564.2 მლნ ლარს. ზრდა შეეხო სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, ეკონომიკური საქმიანობისა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების მიმართულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

	2020 წლიური გეგმა	2020 პროექტი	2020 პროექტი / 2020 წლიური გეგმა	
			სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ	13,067.9	14,564.2	1,496.3	11.5%
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,846.0	2,074.4	228.5	12.4%
თავდაცვა	978.7	902.8	-75.9	-7.8%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,215.6	1,190.6	-25.0	-2.1%
ეკონომიკური საქმიანობა	2,222.2	2,569.3	347.2	15.6%
გარემოს დაცვა	103.2	89.0	-14.2	-13.7%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	143.3	122.3	-21.0	-14.7%
ჯანმრთელობის დაცვა	1,134.5	1,527.6	393.1	34.6%
დასვენება, კულტურა და რელიგია	352.2	288.8	-63.3	-18.0%
განათლება	1,560.1	1,494.1	-66.1	-4.2%
სოციალური დაცვა	3,512.2	4,305.4	793.2	22.6%

ცხრილი 17: საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი, %).

როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, ფუნქციონალური კლასიფიკაციის 2020 წლის დამტკიცებული გეგმის 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებას წარმოადგენენ შემდეგი მიმართულებები: სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, საერთო დანიშნულების


²¹ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

სახელმწიფო მომსახურება და განათლება. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული 4 მიმართულება 2016-2019 წლებში წარმოადგენდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებას. თუმცა, რაც შეეხება 2012-2015 წლებს, განათლების მიმართულება მხოლოდ მე-5 და მე-6 პოზიციებს იკავებდა მიმართულებებს შორის სიდიდის მიხედვით.

2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება აჭარბებს განათლების მიმართულებას და შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება წარმოადგენს მეოთხე მსხვილ მიმართულებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2020 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია და მისი შეფარდება მშპ-თან 2012-2020 წლებში




დიაგრამა 27: ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2012-2020 წლებში (მლნ ლარი)

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი სოციალური დაცვისა და განათლების მიმართულებების 2012-2020 წლებში მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, 2020 წლის დამტკიცებულ მოცულობასთან შედარებით, შემცირებულია განათლების მიმართულების დაფინანსება 1,560 მლნ ლარიდან 1,494 მლნ ლარამდე (66 მლნ ლარით), ხოლო სოციალური დაცვის მიმართულება გაზრდილია - 3,512 მლნ ლარიდან 4,305 მლნ ლარამდე (793 მლნ ლარით).

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიმოხილვისას, საინტერესოა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულების მიმოხილვა, კერძოდ, აღნიშნული მიმართულება, 2012-2019 წლებში, მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს 99 მლნ ლარით ჩამორჩება. 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, აღნიშნული მიმართულების დაფინანსება, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 393 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია აღნიშნული მიმართულებების დაფინანსება 2012-2020 წლებში და მათი შეფარდება მშპ-თან.

სოციალური დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება 2012-2020 წლებში



დიაგრამა 28: სოციალური დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება 2012-2020 წლებში (მლნ ლარი, %)

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

